საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

26 თებერვალი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №123/17

-- -- 2017 წლის 11 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 2 თებერვლის №123/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით სარჩელით არაერთხელ მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, თუმცა ყველა შემთხვევაში სასამართლომ უარი უთხრა მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საჩივრის ავტორის მოსაზრებით მიუხედავად იმისა, რომ მან სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში მითითებული გარემოებები გამოასწორა და ხელახლა მიმართა სასამართლოს, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც უარი უთხრა სარჩელის განსახილველად მიღებაზე. სასამართლოს ეს ქმედება განმეორდა არაერთხელ. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოსამართლე -- -- სრულიად დაუსაბუთებლად ეუბნება უარს სარჩელის განსახილველად

მიღებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 26 აპრილს -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ. მოსარჩელემ ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლა და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 აპრილის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ სარჩელში სრულყოფილად არ იყო ჩამოყალიბებული ფაქტობრივი გარემოებები და არ იყო მითითებული აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. ამასთან, მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები წარდგენილი არ იყო სამართალწარმოების ენაზე - ქართულ ენაზე.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით არ გასაჩივრებულა.

2017 წლის 5 ივნისს -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ. მოსარჩელემ ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლა და ზიანის თანხის - 2484 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 ივნისის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ სარჩელში სრულყოფილად არ იყო ჩამოყალიბებული ფაქტობრივი გარემოებები და არ იყო მითითებული აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებები. ამასთან, მოსარჩელე სარჩელში არ განმარტავდა, მოპასუხის -- -- რა ქმედებებით მიადგა მას ზიანი და რომელ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით ითხოვდა იგი ზიანის თანხას შესაბამისი ოდენობით.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით არ გასაჩივრებულა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება უნდა

მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს თუ - სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი. ამასთან, ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს „ე) კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს“ და „ვ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს“.

ამდენად, მოსამართლე შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და სარჩელის მიღება/არ მიღების საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასებადა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორს არც ერთ შემთხვევაში არ

გამოუყენებია აღნიშნული განჩინების კერძო საჩივრით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №123/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი